

-33 სუფიქსიანი ზმნების მართლწერა

ქართულში გამოიყოფა ერთი დიდი ჯგუფი ზმნებისა, რომელთაც აწმყოს ფუძის საწარმოებლად (და შემდეგ პირველი ჯგუფის ყველა დროსა და კილოში) -ავ სუფიქსი დაერთვით. ესენია: ბაძავს, ბერავს, ბერტყავს, დაგავს, ზიდავს, ზოგავს, თელავს, თრგუნავს, თხზავს, კარგავს, კიცხავს, კლავს, კრავს, კრძალავს, კუმავს, კუწავს, კუმშავს, ლანძღავს, ლოცავს, მალავს, მარხავს, ნაბავს, პარავს, პარხავს, რგავს, ართავს, რისხავს, როშავს, რწყავს, ტანჯავს, ტუქსავს, ფანტავს, ფლანგავს, ფქვავს, ღუბავს, ყლაპავს, ყნოსავს, ჩაგრავს, ჩეჩქვავს, ჩქმალავს, ძარცვავს, წვავს, წნავს, წურავს, ჭიმავს, ხარშავს, ხედავს, ხრავს, ხურავს, ხუჭავს, ხნავს და სხვ.

ამ ჯგუფში შედის ბევრი ნასახელარი ზმნა, როგორცაა, მაგალითად: ბარავს, ბეჭდავს, დაღავს, ზვერავს, ზომავს, ზოგავს, ზღუდავს, კეტავს, კვალავს, კვანძავს, მურავს, ნიკლავს, ნომრავს, სეტყვავს, სერავს, სუხხავს, ფარცხავს, ფერავს, ფილტრავს, ფიცავს, ფურცლავს, ქარგავს, ღობავს, შხამავს, ჩარხხავს, ცელავს, წამლავს, წიხლავს, ხიზავს, ხატავს, ხარჯავს, ხლართავს, ჯოხავს და მის.

მეორე ჯგუფს ისეთი ზმნები ქმნიან, რომელთაც აწმყოში ფუძის საწარმოებელი სუფიქსი არ დაერთვით ან არ დაერთოდათ. ესენია: ბერტყს, თიბს, თესს, კეცს, კვეთს, კეცხს, ლეხს, ლეწს, პენტს, რეკს, რეცხს, ტეხს, ქექს, ჩეჩს, ჩეხს, ძახს, წერს, ჭამს, ჭედს, ხეთქს, ხეხს, ხვეტს, იხვეჭს...

ამავე ჯგუფში შემოდის ე. წ. ფუძედრეკადი ზმნები, ე. ი. ისეთი ზმნები, რომელთაც პირველი ჯგუფის დრო-კილოებში ფუძეში ე ხმოვანი აქვს, ხოლო მეორე ჯგუფში — ი ხმოვანი: რას შვრება? გრეხს, რა ქნა? და-გრეხა. ასეთი ზმნებია: ბზეკს, ბნედს, ბლენძს, ბრეცს, უბღვერს, გლეხს, გლეჯს, უგმერს, გრეხს, დრეკს, დღეებს, ზელს, ზნექს, თვლემს, თქვეფს, კვნეტს, კმენდს, კრებს, კრეფს, კრეჭს, უმწერს, ამხელს, ჟლეტს, ჟლენთს, სრეხს, სხლეტს, მოტვლემს, ტვერს, ტლეკს, ტყეპს, ფლეთს, ფხეკს, ფშეკს, ფშენეტს, ღლეტს, ღმეჭს, ღრეჯს, ღრეცს, ყვლეფს, გაიშვერს, მოიშვლემს, შრეტს, ჩხვლეტს, ჩხრეკს, ცვეთს, ცრეცს, უცქერს, ცქვეტს, წმენდს, წნეხს, წყვეტს, იჭერს, უჭვრეტს, აჭყეტს, ჭყლეტს, გაახელს, ხვრეტს, ხვრეტს, ხლეჩს და მისთ.

-ავ სუფიქსიანი ზმნების მსგავსად -ავ დაერთვის ისეთ ზმნებსაც, რომელთაც იგი არ ჰქონიათ.

ზოგ ასეთ ზმნაში უკვე საბოლოოდ დამკვიდრდა -ავ სუფიქსიანი ფორმები და გვაქვს: ბერტყავს-ს, თიბავს-ს (შდრ. ხალხური: „სამი ქალი თივას ს თ ი ბ დ ა, სამივე ჩერქეზთ ბატონისა“), თესავს-ს, კეცავს-ს, ლეხავს-ს, ლეწავს-ს, პენტავს-ს და ა. შ.

მაგრამ ზოგ ზმნაზე -ავ სუფიქსის დართვის შედეგად გაჩნდა პარალელური ფორმები: კვეთს და კვეთავს, კეცს და კეცავს, რეკს და რეკავს, რეცხს და რეცხავს,

ქექს და ქექავს, ჩიჩს და ჩიჩავს, ჩიხს და ჩიხავს, ძახს და ძახავს, ქედს და ქედავს, ხეთქს და ხეთქავს, ხეხს და ხეხავს, ხვეტს და ხვეტავს, იხვეტს და იხვეტავს... ფუძედრეკადებში: გრეხს და გრეხავს, გრიხავს; გლეჯს და გლეჯავს, გლიჯავს; კვნიტს და კვნიტავს, კვნიტავს; კრეჭს და კრეჭავს, კრიჭავს; წმენდს და წმენდავს, წმინდავს; ცვეთს და ცვეთავს, ცვითავს; ხვრეხს და ხვრეხავს, ხვრიხავს და ა. შ. (შდრ. „ვერ და იჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლოვანი“. ვეფხ. ტყ.).

პარალელური ფორმების მქონე ზმნებს რომ -ავ სუფიქსი შემდგომ აქვს დართული, ამას ადასტურებს ისეთი ფორმები, რომლებშიც -ავ სუფიქსი უფრო ხშირად არ იხმარება. ესენია;

ა) მყოფადის ფორმები: დაგრეხ, დაგლეჯ, დაკრეფ... დაჩიხ; დარეკ...

ბ) პირველი თურმეობითის ფორმები: დაუგრეხია, დაუგლეჯია, დაუკრეფია... დაუჩიხია, დაუჩიკია...

გ) მასდარი და მიმღეობა: გრეხა, გლეჯა, კრეფა, კვნიტა... ჩიხა, რეკა... გრეხილი, დაგლეჯილი, დაკრეფილი... დარეკილი, დაჩიხილი... ნაგრეხი, ნაგლეჯი ნაკრეფი... ნაჩიხი...

უნდა აღინიშნოს, რომ მასდარსა და მიმღეობაში სულ სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვაგვარი ფორმები შეიძლება იყოს შემონახული. თანაც მიმღეობისათვის ამოსავლად შეიძლება აწმყოს ფუძის გვერდით ნამყო წყვეტილის ფუძე იყოს აღებული. ხარცები ამოსავლად რეცხ ფუძეს გულისხმობს, მაგრამ მრეცხავი — რეცხავ-ფუძეს. აღსანიშნავია, რომ ამ ზმნათა უმეტესობას ფუძის დრეკადობა ახასიათებს: პირველი სერიის ფუძეში ე ხმოვანი აქვთ, მეორე სერიისაში — ი. ასეთ ზმნებში კი ბოლო ელემენტები — ეხ, ეჯ, ეტ და სხვ. სუფიქსებადაა მიჩნეული და, ცხადია, მეორე სუფიქსის დართვა მეორეულია.

ამის გამო პარალელური ფორმების აღკვეთისა და ერთიანი ფორმების დამკვიდრების მიზნით თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. აღიკვეთოს -ავ სუფიქსის ხმარება ფუძედრეკად ზმნებში და ერთადერთ ფორმებად მიჩნეულ იქნეს ბზეკს, ბნელს, ბრეცს, გლეხს, გლეჯს, ღღვეხს, ზელს, ზნექს, იბერს, კბეჩს, კვნიტს, კმენდს, კრეფს, კრეჭს, ფლეთს, სრეხს, ფშეკს, ფშენიტს, ფხეკს, ღლეტს, ყვლეფს, შრეტს, ჩხვლეტს, ცჰჰეტს, წრეტს, წყვეტს, წყმედს, ჰყლეტს, ხვრეტს, ხვრეხს, ხლეჩს და მისთ. ფორმები.

2. აღიკვეთოს -ავ სუფიქსის ხმარება პარალელური ფორმების მქონე ე ხმოვნიან არაფუძედრეკად ზმნებში და ერთადერთ ფორმებად მიჩნეულ იქნეს ისეთები, როგორიცაა: კვეთს, კვეცს, ტეხს, ჩეხს, ქექს, ხეთქს, იხვეტს (სახელს იხვეტს), ჩიჩს (მატყლს), იჩიჩს (მხრებს იჩიჩს), ილეღს (მკერდს ილეღს), ყიღეს, წერს, ხეწეს...

3. დადასტურდეს -ავ სუფიქსიანი ფორმები შემდეგი ზმნებისა:

ბერტყავს	ლესავს
გარეკავს (მაგ., ხარებს)	ლეწავს
რეკავს (ზარს)	პენტავს
თიბავს	შეშავს
კენკავს	რეცხავს
კეტავს	ფეთქავს
კეცავს	ქექავს

წალეკავს
წიწავს
ჰედავს
ხეხავს

ხოცავს
კვებავს
წვეთავს

4. დადასტურდეს შესაბამისად მასდარების ფორმები:

ა) ბერტყავს	— ბერტყვა	ბ) კვეთს	— კვეთა
გარეკავს	— გარეკვა (მაგ., ხარებისა)	კვეცს	— კვეცა
თიბავს	— თიბვა	ტეხს	— ტეხა
კენკავს	— კენკვა	ჩეხს	— ჩეხა
კეტავს	— კეტვა	ჰეჰს	— ჰეჰა
კეცავს	— კეცვა	ხეთჰს	— ხეთჰა
ლესავს	— ლესვა	იხვეჰს	— ხვეჰა
ლეწავს	— ლეწვა	ჩეჩს, იჩეჩს	— ჩეჩა
პენტავს	— პენტვა	იღელს	— გაღელა
ჟეჟავს	— ჟეჟვა	ყეფს	— ყეფა
რეცხავს	— რეცხვა	წერს	— წერა
ფეთქავს	— ფეთქვა	ხვეწს	— ხვეწა
ჰეჰავს	— ჰეჰვა		
წალეკავს	— წალეკვა		
წიწავს	— წიწვა (წიწვა-გლეჯა)		
ჰედავს	— ჰედავა		
ხეხავს	— ხეხვა		
ხოცავს	— ხოცვა		
შეგრამ: კვებავს	— კვება		
წვეთავს	— წვეთა		